



სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

№ 4-1-9/2198

„ 15 „ 09 2010

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი  
რესურსების მინისტრის მოადგილეს  
ბატონ გიორგი ზედგენიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2010 წლის 11 აგვისტოს №06-01-05/2946 წერილით წარმოდგენილი „2007-2009 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის განაჩარგულებისა და „2007-2009 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების“ პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც წარმოგიდგინებ ჩვენს შენიშვნებსა და წინადადებებს:

1. მე-13 თავის რეზიუმეს მიხანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს მე-5 აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, რომელიც ხშირ შემთხვევაში უკონტროლოდ ხვდება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელებზე.“

2. მე-2 პუნქტის მე-4 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ნარჩენები შედის ყოველგვარი დახარისხების გარეშე. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ხვდება სამრეწველო, სამშენებლო, სამედიცინო, ბიოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ნარჩენები“.

3. მე-4 პუნქტს დაემატოს მე-9 აბზაცი შემდეგი რედაქციით:

საქართველოს  
გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო  
№ 4276  
„ 17 „ 09 2010

„მნიშვნელოვანია აგრეთვე პესტიციდებით დაბინძურებული ცარიელი ჯონტეინერების საკითხი, ვინაიდან არ ხდება მათი შეგროვება და განთავსება სპეციალურ, ტოქსიკური ნარჩენებისათვის განკუთვნილ ნაგავსაყრელებზე, ეს დაბინძურებული ტარა ხვდება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელებზე ან იწვება ღია მინდორში, ხშირად ხდება მისი მეორადი გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობას, გარემოს“.

4. გამოყენებულ ლიტერატურას დაემატოს წყარო:

საქართველოს ქიმიური პროფილი, 2009, UNIITAR, საქართველოს სტრატეგიული უკუთქვების და განვითარების ცენტრი,

[http://www2.unitar.org/cwm/publications/cw/np/np\\_pdf/Georgia\\_National\\_Profile\\_2009\\_Georgian.pdf](http://www2.unitar.org/cwm/publications/cw/np/np_pdf/Georgia_National_Profile_2009_Georgian.pdf)

5. მე-17 თავი - „ქიმიკატები“ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაკეთდეს მე-14 თავად, ვინაიდან მე-17 თავი არის „ტრანსპორტი“.

6. მე-14 თავის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოში პესტიციდები ამ ეტაპზე არ იწარმოება. როტერდამის და სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებული პესტიციდების ქვეყანაში შემოტანა აკრძალულია, არალეგალური შემოტანა ან ბრუნვა კი დღემდე აღმოჩენილი არ იყო. თუმცა ქვეყანაში არსებობს საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი ვადაგასული პესტიციდების მარაგი“.

7. მე-14 თავის შესავალის ტექსტში გამოიკვეთოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გარდა ამისა, 2006 წლიდან საქართველოში მოქმედებს 1998 წლის როტერდამის კონვენცია ”ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, რომელიც 37 საშიში ქიმიკატის საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურას არეგულირებს. კერძოდ, ამ ნივთიერებათა საერთაშორისო გადაზიდვებისთვის აუცილებელია გამგზავნი ქვეყნის მიერ მიმღები ქვეყნის ინფორმირება და ამ უკანასკნელისგან ოფიციალური თანხმობის მიღება.“

საქართველოში ამ კონვენციებით რეგულირებადი ნივთიერებები შედის ე.წ. "შეზღუდული ბრუნვადი მასალების" ჩამონათვალში (53 ქიმიკატს შეიცავს), რომელთა წარმოება, ტრანსპორტირება ან ქვეყნის შიდა გადაზიდვა საგანგებო ნებართვას საჭიროებს (შესაბამისი დებულება 2011 წლის 1 ივლისამდე დროებით შეჩერებულია). ეს მდგომარეობა ართულებს კონტროლის განხორციელებას ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობისას. გარდა ამისა, როტერდამისა და სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებები „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის №133/6 ბრძანების მიხედვით საქართველოში წარმოების იმპორტ-ექსპორტისა და გამოყენებისთვის აკრძალულ ნივთიერებებს მიეკუთვნება.

გარდა აღწერილისა, საქართველოში დამატებითი მოთხოვნები ვრცელდება პესტიციდებზე. კერძოდ, საქართველოში დაშვებულია მხოლოდ იმ პესტიციდების წარმოება, იმპორტი და გამოყენება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ. დღეისათვის ამ სამსახურის მიერ პესტიციდის 168 მოქმედი ნივთიერება და 350-მდე პესტიციდის პრეპარატიული ფორმა არის რეგისტრირებული. ძირითადად ეს არის ევროკავშირისა და აშშ-ში რეგისტრირებული პესტიციდები, რომლებიც შედის ევროკომისიის 91/414/EEC დირექტივის პირველ დანართში, ან USEPA-ს რეგისტრირებული აქტიური ნივთიერებების სიაში. არარეგისტრირებული პესტიციდების ბრუნვის აღმოჩენის მიზნით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური საქართველოს პესტიციდების ბაზრის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს”.

8. მე-14 თავს დაემატოს მე-4 აბზაცი შემდეგი რედაქციით:


„მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, ჯერ კიდევ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე გაფანტული ვადაგასული პესტიციდების ნარჩენები, რომლებიც საჭიროებს შეგროვებას და საიმედო განთავსებას”.

9. მე-14 თავს „ოზონდამშლელ ნივთიერებებს“ დაემატოს მე-3 აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„მეთილბრომიდის გამოყენება საქართველოში, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ხდება მხოლოდ საჯარანტიმო მიზნებისათვის“.

პატივისცემით,

ალექსანდრე ცინცაძე  
მინისტრის მოადგილე

A handwritten signature in blue ink, consisting of a long horizontal stroke with a loop and a smaller loop below it.